სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო** Social Sciences: Modern Georgia
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი** Bachelor of Social Sciences
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	*ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 3 აკადემიური წელია (6 სემესტრი) და ითვალისწინებს სტუდენტის მიერ **180 კრედიტის** (ECTS) დაგროვებას:* **125 კრედიტი (ECTS) – მაპროფილებელი სასწავლო კურსები, მათ შორის:** *ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები - 100 კრედიტი (ECTS) (მათ შორის 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომი);* *ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები - 25 კრედიტი (ECTS);* **საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები -20 კრედიტი (ECTS)**, მათ შორის: ქართული ენა აკადემიური მიზნებისათვის - 5 კრედიტი(ECTS) ; უცხო ენა - 15 კრედიტი (ECTS); **არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (ECTS) ;** **თავისუფალი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი (ECTS).**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი	**გია ჟორჟოლიანი,** ისტორიის დოქტორი, პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა[1]	• ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

[1]პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №19/ნ (2011 წლის 18 თებერვალი) - ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ.

	• ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:** 1. შეასწავლოს სტუდენტებს სოციალური მეცნიერებების ძირითადი თეორიები და სოციალური კვლევის მეთოდოლოგია; 2. გააცნოს სტუდენტებს სოციალური მეცნიერებების ინტერდისციპლინური და ინტეგრირებული მიდგომები, მეთოდები და სოციალური ფენომენების ახსნის მრავალფეროვნება; 3. მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც სოციალურ მეცნიერებებში მიღებული ცოდნის საფუძველზე, **ფლობენ:** კომპლექსურ და ინტეგრირებულ ცოდნას თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მოწყობისა და ფუნქციონირების მიმდინარე პროცესებისა და ძირითადი პრობლემების შესახებ; 4. ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულებს თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სფეროების ფუნქციონირებაში აქტიური და ეფექტიანი მონაწილეობისთვის.
სწავლის შედეგები	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:** ***ცოდნა და გაცნობიერება*** **1.** აღწერს და განმარტავს სოციალური მეცნიერებების ძირითად თეორიებს, მიდგომებს, საზოგადოებრივი მოვლენების არსს და მახასიათებლებს, მათი ცვლილებების ტენდენციებს; **2.** განსაზღვრავს და აფასებს საზოგადოების სხვადასხვა სფეროებში არსებული წესრიგისა და პროცესების ურთიერთმიმართებასა და ურთიერთგავლენებს; **3.** სოციალურ მეცნიერებებში მიღებული ცოდნის გამოყენებით აღწერს და აანალიზებს თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების მოწყობასა და ფუნქციონირებას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს და ძირითად პრობლემებს; ***უნარი***

	4. მოიძიებს სოციალური მეცნიერებების სფეროში არსებულ სათანადო მასალას და საქართველოს შესახებ საჭირო ინფორმაციას; 5. ახდენს სოციალური ფენომენების ანალიზს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების, ინტერპრეტაციისა და ახსნის შესაბამისი მეთოდოლოგიის გამოყენებით; 6. საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხავდასხვა მოვლენებს შორის კავშირების კრიტიკული ანალიზისა და ცალკეული ელემენტების ურთიერთდაკავშირების საფუძველზე, აყალიბებს მოსაზრებებს და შეიმუშავებს დასკვნებს სოციალური ფაქტებისა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ; 7. მიღებული ცოდნის საფუძველზე გადაჭრის პრაქტიკულ ამოცანებს საჯარო სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორში, საკონსულტაციო საქმიანობაში, სწავლების საფეხურის შესაბამისად; *პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა* 8. პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ამზადებს და ატარებს ზეპირ თუ წერილობით პრეზენტაციებს, მონაწილეობს დისკუსიებში, მსჯელობასა და დებატებში (საკუთარი პოზიციებისა და არგუმენტების წარმოჩენის გზით), პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაში; 9. დამოუკიდებლად იღრმავებს ცოდნას შესწავლილი თეორიული მასალისა და მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით, პასუხისმგებლურად წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და იღებს პასუხიმგებლობას დადგენილი ვადების დაცვაზე; 10. საქართველოს შიდა და საგარეო ვითარებისა და მიმდინარე პროცესების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გაცნობიერების საფუძველზე, მონაწილეობს ქვეყნის განვითარებაში, როგორც პროფესიული საქმიანობით, ასევე საზოგადოებრივი აქტივობით.
სწავლების მეთოდები	• ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი, დებატები, ახსნა–განმარტება); • წერითი/ზეპირი მუშაობის მეთოდი (რეფერატი /თხზულება /ესე და მისი პრეზენტაცია) • ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობის მეთოდი • შედარებითი ანალიზის მეთოდი; • კრიტიკული ანალიზის მეთოდი

	• გუნდური მუშაობა და დისკუსია; • ინტერაქციული ლექცია; • შემთხვევების განხილვა; • გონებრივი იერიში; • დემონსტრირების მეთოდი, • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), • პრაქტიკული მეთოდი (პრაქტიკული დავალებათა ამოხსნა და ამოცანების გადაწყვეტა); • ინდუქციური და დედუქციური მეთოდები; • სოკრატეს მეთოდი (სწავლება კითხვების დასმით) • საუდიტორიო მეცადინეობისას კვლევითი დავალებების შესრულება (ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის დიზაინი, კითხვარი/კოდირების სქემა, SPSS-ის ბაზაში შეტანილი მონაცემები და სტატისტიკური მონაცემები) • სივრცე - დროითი ანალიზის მეთოდი • ელექტრონული სწავლების მეთოდები (E-learning).
შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) შუალედურ (რეიტინგულ) შეფასებას; ბ) დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული ქულებში) საბოლოო შეფასებაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) **(A) ფრიადი** – 91-100 ქულა; ა.ბ) **(B) ძალიან კარგი** – 81-90 ქულა; ა.გ) **(C) კარგი** – 71-80 ქულა; ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – 61-70 ქულა; ა.ე) **(E) საკმარისი** – 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

	ბ.ა) **(FX) ვერ ჩააბარა** – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) **(F) ჩაიჭრა** – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5 დღეში.** სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა და დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა, ფორმები და ქულები: **საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით** (იხილეთ შეფასების კრიტერიუმები). საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში **„(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, დაინიშნება დამატებითი გამოცდა, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში; **„(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები“,** შეფასების მიღების შემთხვევაში, ნაშრომის დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია. **საბაკალავრო ნაშრომს აფასებს:** ხელმძღვანელი, რეცენზენტი და კომისია.

	საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება (ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომისიის) - მაქსიმალური ქულა – 100. დადებითი შეფასება – მინიმუმ 51 ქულა. ● **ხელმძღვანელის შეფასება - 20 ქულა** ● **რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა** ● **კომისიის შეფასება - 40 ქულა** **ზეპირ წარდგენაზე დაშვების წინაპირობა:** სტუდენტს ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასების შემდეგ, დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 30 ქულისა. **შეფასების კრიტერიუმები:** ხელმძღვანელის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 20, მინიმალური ქულა - 10. *ა) შინაარსობრივი მხარე - 10 ქულა:* ● საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; ● ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; *ბ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:* ● ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა; ● გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ. რეცენზენტის შეფასება - მაქსიმალური ქულა - 40, მინიმალური ქულა - 20. *ა) შინაარსობრივი მხარე - 20 ქულა:* ● საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; ● ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; *ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 10 ქულა:* ● პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი *გ) ფორმალური მხარე - 10 ქულა:* ● ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა; ● დიზაინი, გაფორმება, ციტირება, სქოლიო, სარჩევი და სხვ.

	კომისიის შეფასება - მაქსიმალური ქულა – 40, მინიმალური ქულა - 21. ფასდება ნაშრომის პრეზენტაციის ზეპირი წარდგენისას, საჯარო დაცვის დროს. *ა) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 15 ქულა:* ● საკვლევი საკითხის რელევანტური თეორიული და ფაქტობრივი მასალის კრიტიკული გააზრება; ● ანალიზის, არგუმენტებისა და დასკვნების გამართულობა; ● კვლევის მეთოდოლოგია, პირველადი/მეორადი მონაცემების ანალიზის ხარისხი; *ბ) საპრეზენტაციო მოხსენების რელევანტურობა საბაკალავრო ნაშრომთან – 10 ქულა;* *გ) აუდიტორიასთან კომუნიკაცია ეთიკის სტანდარტების დაცვით - 5 ქულა;* *დ) ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმალური მხარე – 10 ქულა:* ● საპრეზენტაციო მასალის გაფორმება და შესრულების დონე ● ნაშრომის/პრეზენტაციის ენობრივი და სტილისტური გამართულობა.
დასაქმების სფეროები	დასაქმების შესაძლო სფეროთა არეალი მოიცავს დასაქმებას საჯარო სამსახურში; სამოქალაქო სექტორში; კვლევით და/ან სასწავლო დაწესებულებებში; საერთაშორისო ორგანიზაციებში მედიაში, საკონსულტაციო და ბიზნეს კომპანიებში (ორგანიზაციებში), ტურიზმის სექტორში, საგარეო ურთიერთობათა სფეროში და სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებში.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წესისა და პირობების შესაბამისად, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სხვა პირის სწავლის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური და ასევე სხვა მიმართულების

ადამიანური და მატერიალური რესურსი	აკადემიური (47) და მოწვეული (38), ასევე დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** ● თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; ● თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ● სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №11); ● ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ქუჩა №11; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, I კორპუსი); ● თსუ-ს ელექტრონული სწავლების პლატფორმა; ● თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვ.; ● სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (თსუ-ს VI კორპუსი და ფიზიკის ინსტიტუტი); ● ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვ.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტით.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. ● სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; ● სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა, ან სხვა ინფორმაციის გაყალბება და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი.

	იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ზემოთხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რაც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით ნაშრომის დაცვამდე სტუდენტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას ატვირთავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საბაკალავრო ნაშრომის „პლაგიატზე" შემოწმებისას, ხელმძღვანელობს „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტით".
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას - „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო" - ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს საშუალოდ 80 სტუდენტი.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო

სწავლების საფეხური: პირველი (ბაკალავრიატი)

კრედიტების რაოდენობა: 180 კრედიტი

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: გია ჟორჟოლიანი, პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 27/04/2026; №30/2026, ასახული თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის დადგენილება N57/2011, დანართი №327 (კოდიფიცირებული)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №440785 15.04.2026 - 15.04.2028

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2026-2027 სასწავლო წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 100 კრედიტი (ECTS)												
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	კრედიტი (ECTS)	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი	საგამოცდო						
1		შესავალი სოციალურ მეცნიერებებში	5	29	16	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✔	✔	მარინა მუსხელიშვილი თეონა მატარაძე გია ჟორჟოლიანი
2		თანამედროვე საქართველო: პოლიტიკური ისტორია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✔		გია ჟორჟოლიანი
3		ეკონომიკის საფუძვლები: მიკროეკონომიკის და	5	15	30	3	77	125	წინაპირობის გარეშე		✔	ელგუჯა მექვაბიშვილი

		მაკროეკონომიკის ძირითადი პრინციპები										
4		საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო (XIX-XX საუკუნეები)	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✔		ზურაბ აბაშიძე
5		თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	5	31	14	5	75	125	შესავალი სოციალურ მეცნიერებებში;		✔	თეონა მატარაძე ალექსანდრე ცაგარელი
6		ინდივიდი, საზოგადოება და სახელმწიფო	5	15	15	5	90	125	შესავალი სოციალურ მეცნიერებებში	✔		მარინა მუსხელიშვილი
7		ძალაუფლება, სახელმწიფო, დემოკრატია	5	30	30	5	60	125	შესავალი სოციალურ მეცნიერებებში		✔	გია ჟორჟოლიანი
8		ეკონომიკის სოციოლოგია	5	15	15	4	91	125	ეკონომიკის საფუძვლები: მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის ძირითადი პრინციპები		✔	ანა დიაკონიძე თორნიკე ჩივაძე
9		სოციალური ფსიქოლოგია	5	15	30	5	75	125	შესავალი სოციალურ მეცნიერებებში	✔		გუგული მაღრაძე რევაზ ჯორბენაძე მარეხ დევიძე
10		სამართალმცოდნეობის საფუძვლები	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✔	დავით მაისურაძე
11		რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	5	31	14	5	75	125	თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში		✔	თეონა მატარაძე ალექსანდრე ცაგარელი

12		თანამედროვე ქართული საზოგადოება ანთროპოლოგიური პერსპექტივიდან	5	16	14	5	90	125	შესავალი სოციალურ მეცნიერებებში	✔		თეონა მატარაძე
13		პოსტ-საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაცია	5	15	15	5	90	125	ეკონომიკის საფუძვლები: მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის ძირითადი პრინციპები		✔	გია ჟორჟოლიანი თორნიკე ჩივაძე
14		საქართველოს რეგიონები: გეოგრაფია და ბუნებრივი პოტენციალი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✔	ნოდარ ელიზბარაშვილი
15		მმართველობის ინსტიტუტები საქართველოში	5	15	15	5	90	125	ძალაუფლება, სახელმწიფო, დემოკრატია		✔	გია ჟორჟოლიანი
16		საქართველოს ეკონომიკა: რაოდენობრივი პარამეტრები	5	15	30	5	75	125	ეკონომიკის საფუძვლები: მიკროეკონომიკის და მაკროეკონომიკის ძირითადი პრინციპები	✔		იოსებ არჩვაძე
17		მასკომუნიკაციის პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაცია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✔		მარინა მუსხელიშვილი
18		სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია	5	16	14	2	93	125	წინაპირობის გარეშე	✔		თამარ ცხადაძე
19		საბაკალავრო ნაშრომი	10	30			220	250	მინიმუმ 140 კრედიტი			პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (ECTS)												
1		ადამიანის უფლებები: თეორია და პრაქტიკა	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✔	გია ჟორჟოლიანი
2		სოციოლოგიური თეორიები	5	15	15	7	88	125	შესავალი სოციალურ მეცნიერებებში	✔		იაგო კაჭკაჭიშვილი
3		საქართველოს სოციოლოგიური რესურსები და მონაცემები	5	15	15	5	90	125	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში;	✔		ალექსანდრე ცაგარელი , იაგო კაჭკაჭიშვილი
4		შრომითი ურთიერთობები საქართველოში	5	29	16	5	75	125	პოსტ საბჭოთა საქართველოს სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაცია		✔	მარინა მუსხელიშვილი, ბექა ნაცვლიშვილი
5		გენდერი, ოჯახი და რელიგია პოსტ-საბჭოთა საქართველოში	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✔	მედეა ბადაშვილი
6		ძალაუფლების ფილოსოფიური ინტერპრეტაციები	5	30	15	5	75	125	ძალაუფლება, სახელმწიფო, დემოკრატია	✔		ლაშა ხარაზი
7		ლიდერობა და დიდი სოციალური ჯგუფების ფსიქოლოგია	5	30	15	5	75	125	სოციალური ფსიქოლოგია		✔	რევაზ ჯორბენაძე
8		პოლიტიკური რიტორიკის საფუძვლები	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე		✔	თამარ ვეფხვაძე
9		ბუნებრივი გარემო და მდგრადი განვითარება საქართველოში	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✔		მიხეილ ადეიშვილი

10		პროექტის მართვა	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✔	✔	მედეა ბადაშვილი
11		საჯარო პოლიტიკა	5	30	15	5	75	125	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი		✔	გიორგი მელიქიძე
საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები - 20 კრედიტი (ECTS)												
1		ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის	5	15	15	0	95	125	წინაპირობის გარეშე	✔		თამარ ვეფხვაძე რევაზ ჯორბენაძე ნათია სვანიძე თინათინ მაჭარაშვილი დავით მაცაბერიძე მედეა ბადაშვილი თეონა თაბუაშვილი
2		ინგლისური ენა 1 (A1.1; A2.1; B1.1; B2.1)	5	30	30	5	60	125	წინაპირობის გარეშე	✔	✔	ენების ცენტრის პედაგოგი
3		ინგლისური ენა 2 (A1.2; A2.2; B1.2; B2.2)	5	30	30	5	60	125	ინგლისური ენა 1	✔	✔	ენების ცენტრის პედაგოგი
4		დარგობრივი ინგლისური ენა სოციალურ მეცნიერებებში	5	15	15	6	89	125	ინგლისური ენა 2	✔	✔	ნინო ბოლქვაძე
არჩევითი სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (ECTS)												
1		სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	2	93	125	წინაპირობის გარეშე	✔	✔	ნათელა ფარცხალაძე ზურაბ ტატანაშვილი გიორგი წოწკოლაური მაგული შაღაშვილი სალომე ნამიჭეიშვილი ნინო შატბერაშვილი
2		სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	✔	✔	ამირან ბერძენიშვილი იაგო კაჭკაჭიშვილი კახა ქეცბაია

												შორენა თურქიაშვილი
3		საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	6	74	125	წინაპირობის გარეშე	✔	✔	თორნიკე თურმანიძე ფიქრია ასანიშვილი კონსტანტინე შუბითიძე გვანცა აბდალაძე
4		ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✔	✔	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი თინათინ მაჭარაშვილი ნათია სვანიძე
5		პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✔	✔	სალომე დუნდუა მალხაზ მაცაბერიძე ზვიად აბაშიძე კორნელი კაკაჩია ვლადიმერ ნაფეტვარიძე სანდრო ტაბატაძე ელენე გელაშვილი
6		საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	✔	✔	იოსებ სალუქვაძე თამარ დოლბაია გიორგი კვინიკაძე ლუიზა აბაზაძე
7		საქართველო მსოფლიოს ისტორიულ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✔	რევაზ გაჩეჩილაძე ტატიანა სიჭინავა
8		მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაცია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✔	ჯაბა ურუტაძე

9		ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე	✔	✔	კონსტანტინე შუბითიძე
თავისუფალი კრედიტები - 10 ECTS												